თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების წარმატებული მაგისტრანტები ჰუმანიტარული დარგების მომავალი სამეცნიერო კადრია!

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გამოირჩევა მრავალრიცხოვანი და მრავალპროფილური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებით. **ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური** ძალიან აქტიურად აწვდის ინფორმაციას სამივე სასწავლო საფეხურის სტუდენტებს ამ კონფერენციების თემატიკის, მოხსენებათა აბსტრაქტების გაგზავნის ვადებისა და საორგანიზაციო დეტალების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ფაკულტეტის საიტზეც ხელმისაწვდომია.

მიიღე მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში! გამოსცადე საკუთარი კვლევითი შესაძლებლობები, გაუზიარე შენი იდეები კოლეგა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. შეძენილი ცოდნა და გამოცდილება კი გამოიყენე სტუდენტური სამეცნიერო სტატიების შესაქმნელად.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საკამოდ მრავალრიცხოვან სტუდენტურ სამეცნიერო გამოცემებს გთავაზობს ამისთვის; ესენია ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალები: „სტუდენტური წელიწდეული“; „სტუდენტური ფილოლოგიური კვლევები“, „მნემოსინე“, ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ონლაინ ჟურნალი „ფილოლოგია“; ელექტრონული კრებული „მერმისი“; ელექტრონული და ბეჭდური გამოცემა „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“. რეცენზირების შედეგად შერჩეული საუკეთესო სტუდენტური სტატიებისთვის ამ ჟურნალების რედკოლეგიის კარი მუდამ ღიაა. შეიქმენით თქვენი სტუდენტური სამეცნიერო ბიოგრაფია!